## გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA000084693220120

**№ 1583 07 / აგვისტო / 2020 წ. ქ. გურჯაანი**

**1993-2002 წლებში დაბადებულ წვევამდელთა გაწვევის შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 ივლისის № 474 დადგენილების, „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“, საქართველოს კანონის ’’სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ’’ მე-20 მუხლის პირველი პუნქტისა და 22-ე მუხლის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის 04 აგვისტოს # SSG 3 20 00095208 მომართვის საფუძველზე, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით:

**ვბრძანებ:**

1. შეიქმნას გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიაში გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- არჩილ ხანდამაშვილი - გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი- კომისიის თავმჯდომარე:
- ზაქარია ანანეიშვილი- გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი

  კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

- ნანა მამისაშვილი - კომისიის მდივანი-მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

**კომისიის წევრები:**

- მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი:დათო ბაქრაძე;

- მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: ავთანდილ ცისკარაშვილი;

- შსს გურჯაანის სამმართველოს უფროსის მოადგილე: ბექა ახალაური;

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი უმცროსი ლეიტენანტი: ვალერიან რევაზიშვილი.

2. დაევალოს:

- კომისიას -1993-2002 წლებში დაბადებულ მოქალაქეთა საქართველოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის დროულად და ორგანიზებულად ჩატარება, რომელიც უნდა გაგრძელდეს 2020 წლის 03.08-დან 26.12-მდე;

- გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უზრუნველყოს საშემოდგომო გაწვევის მთელი პერიოდის ხარჯების დაფინანსება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოთა რწმუნებულებს-გააფრთხილონ და უზრუნველყოს საპატრულო სამსახურთან ერთად,ადგილობრივი თვითმმართველობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ მიწოდებული შეტყობინების საფუძველზე წვევამდელთა ორგანიზებულად გამოცხადება გამწვევ პუნქტში,უწყებაში ნაჩვენები დროის მიხედვით.

3. ეთხოვოს:

- გურჯაანის შსს სამმართველოს-აღმოუჩინოს დახმარება ადგილზე ადგილობრივი თვითმმართველობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს,იმ წვევამდელთა მოძებნა და გამწვევ უბანზე გამოცხადებაში,რომლებიც თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს;

- მასმედიას გააშუქოს და აქტიური პროპაგანდა გაუწიოს წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას და ჭაბუკთა სამხედრო პატრიოტული აღზრდის საკითხებს;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობაში (მისამართი: ქ.გურჯაანი ნონეშვილის გამზირი №13).

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი — ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად — არჩილ ხანდამაშვილი